



საკუთრების უფლება საგანგებო მდგომარეობის დროს

საკუთრების უფლება საგანგებო მდგომარეობის დროს

საქართველოს პრეზიდენტის [დეკრეტი N1](#) - ით შეიზღუდა საკუთრების უფლება და საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება, აუცილებლობის ფარგლებში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება.

2020 წლის 23 მარტს, საქართველოს მთავრობამ № 1 დეკრეტის საფუძველზე მიიღო [N181 დადგენილება](#) ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილებით იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ ან/და შეუძლიათ განახორციელონ სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობა, ასევე, შეუძლიათ განახორციელონ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა ან/და საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა-გადაზიდვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველივე მოთხოვნისთანავე, ვალდებული არიან:

- უზრუნველყონ მოთხოვნილი მიმართულებით ჩარტერული ფრენის განხორციელება საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანის ან/და შესაბამისი ტვირთის ტრანსპორტირების მიზნით;
- უზრუნველყონ მოთხოვნილი მიმართულებებით (საქართველოს მასშტაბით) შესაბამისი პირების საკარანტინო ზონებში განთავსების მიზნით საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა, ან/და შესაბამისი ტვირთის გადაზიდვა დანიშნულების ადგილამდე;
- გამოყონ სასტუმრო ან/და განთავსების მსგავსი საშუალებები (უზრუნველყონ ყველა თანმდევი სერვისები) კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განთავსებისა და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნის მიზნით.

ამ შემთხვევაში საქართველოს კანონი „[D](#)“ [მდგომარეობის შესახებ](#) ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, გადაიხადოს სათანადო ანაზღაურება, რომელიც გაიცემა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ. □

დეკრეტი ითვალისწინებს, საგანგებო მდგომარეობის დროს, წესების დარღვევისათვის შესაბამის სანქციებს, კერძოდ: ფიზიკური პირები, რომლებიც დაარღვევენ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, დაჯარიმდებიან 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირები 15 000 ლარის ოდენობით.

იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.